

მუნიციპალური ტოპონიმიისა და გეოგრაფიული ობიექტების მართლწერის, ტრანსლიტერაციისა და თარგმანის საკითხები

(მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 11 მაისის სხდომაზე, ოქმი №4)

საკუთარი სახელების მართლწერისა და უცხო ენაზე გადატანის წესების დადგენისა და დაცვის აუცილებლობა განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით:

ა) სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის (თავი VI, საკუთარი სახელის და სხვა სახელწოდების ენა) შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტის სახელდებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „გეოგრაფიული ობიექტების სახელების შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 21).

ბ) გეოგრაფიული ობიექტების სახელების შესახებ საქართველოს კანონში (მუხლი 7) ნათქვამია:

პუნქტი 4. გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები, რომლებიც იხმარება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ქართულენოვან კარტოგრაფიულ მასალებსა და სხვა დოკუმენტებში აღინიშნება ქართულ და, საჭიროების შემთხვევაში, უცხო ენებზე, ხოლო ამ ობიექტების სახელწოდებათა უცხოენოვანი დაწერილობა უნდა დაეფუძნოს ტრანსლიტერაციის საერთაშორისო ნორმებს.

პუნქტი 5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ მაკროტოპონიმებზე, რომელთა უცხოენოვანი დაწერილობა ტრადიციულად განსხვავდება ქართული ფორმისაგან. ასეთ შემთხვევაში სახელწოდებების უცხო ენაზე დაწერისას გამოიყენება არა ტრანსლიტერირებული, არამედ ტრადიციული (უცხოენოვანი) ფორმები.

პუნქტი 6. საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების ნორმალიზებული სახელწოდებები საგზაო და სხვა სახის მაჩვენებლებზე იწერება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთის ტერიტორიაზე – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. საჭიროების შემთხვევაში, უცხო ენაზე ამ წარწერების აღნიშვნა ხდება ტრანსლიტერაციის წესით.

გ) ხოლო სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულებით მის ერთ-ერთ ფუნქციად განსაზღვრულია **საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი წარწერის არასახელმწიფო ენაზე (მათ შორის, ეროვნული უმცირესობის ენაზე) წარმოდგენის წესის შემუშავება და დამტკიცება (თავი II, მუხლი 3, პუნქტი ე).**

მუნიციპალური სამისამართო სახელწოდებების მოქმედი სიების ანალიზის შედეგად გამოიყო სახელწოდებათა რამდენიმე ჯგუფი, გამოვლინდა ტიპური შეცდომები, თარგმნისას არაუნიფიცირებული მიდგომისა და ქართული დაწერილობისას ორთოგრაფიული წესების დარღვევის შემთხვევები.

სამისამართო სახელწოდებები შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

1. სახელი და გვარი;
2. ზედწოდება;
3. საზოგადო სახელი;
4. რომელიმე მნიშვნელოვანი ამბისადმი მიძღვნილი დასახელება;
5. რელიგიური დღესასწაულების სახელები.

ყველა განსახილველ ჯგუფში აღმოჩნდა არაერთგვაროვანი მიდგომა როგორც ქართულ დაწერილობაში, ისე ინგლისურ თარგმანში. მაგ.:

სახელი და გვარი:

ა) ქართული საკუთარი სახელი გადადის ტრანსლიტერაციით, მაგრამ ინგლისური ენის ნორმების გათვალისწინებით:

Giorgi Chubinashvili Street და არა **Giorgi Chubinashvilis Street**

ბ) ქართული სახელი გადადის ხან ინგლისური დაწერილობით, ხან კი სრული ტრანსლიტერაციით: გიორგი გურჯიევის | ჩიხი - **George Gurdjievff | Dead End**

გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილის ქ. – Giorgi (George) Papashvili Str.

ზედნოდება:

ასეთივე ნაირგვარობა სხვადასხვა ზედნოდების გამოყენებისას და თარგმნისას:

ანთიმოზ ივერიელის ჩიხი – Anthim the Iberian Dead-End

ანთიმოზ ივერიელის ქ. – Anthimos Ivereli Str.

ანთიმოზ ივერიელის ჩიხი – Anthimos of Iberia Dead End

9 ძმა ხერხეულიძის ქ. – Kherkheulidze 9 Brothers Str.

9 ძმის ქუჩა - 9 Dzma str.

საზოგადო სახელები გეოგრაფიული ობიექტების სახელებად ითარგმნება ამგვარად:

ხელოვანთა ქუჩა – Artists Str.

ღვინის აღმართი – Wine Ascent

წარმოდგენილია თარგმანიც და ტრანსლიტერაციაც:

ფერმწერთა ქ. – Permtserta (Painters) Str.

არ ითარგმნება:

წყაროს ქ. – Tsqaro Str.

შეუსაბამობა ტრანსლიტერაციისას:

ფეიქართა ქ. – Peikrebi Str. (განსხვავებული ფორმაა ტრანსლიტერირებული).

რომელიმე მნიშვნელოვანი ამბისადმი მიძღვნილი დასახელება:

რამდენიმესიტყვიანი, გარკვეული შინაარსის ან ამბის შემცველი დასახელებები, როგორც წესი, მთლიანად არის ხოლმე თარგმნილი:

26 მაისის ქუჩა, დაბა წყნეთი – 26 May Street, Tsqneti Borough

ასი ათასი მონამის ქუჩა, სოფელი ზურგოვანი – Hundred Thousand Martyrs Street, Zurgovani Village.

რელიგიური დღესასწაულების სახელები:

ამ ჯგუფის სახელები ყოველთვის ტრანსლიტერაციითაა გადმოცემული, თუმცა ინგლისურ ვერსიაში ტრანსლიტერირებულია არა ნათესაობითი, არამედ ქართული სახელობითი ფორმით.

ამაღლების ქ. – Amaghleba Str.

ჯვართამაღლების სახელობის ეკლესია – Jvartamaghleba Church.

მუნიციპალური ტოპონიმების ამჟამინდელ ინგლისურ დაწერილობაში სხვადასხვა სტრატეგიაა გამოყენებული, ესენია:

სრული ტრანსლიტერაცია

ნაწილობრივი თარგმანი / ნაწილობრივი ტრანსლიტერაცია

სრული თარგმანი.

„სრული ტრანსლიტერაცია“ პირობითი ცნებაა, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, ეს არის ქართული სიტყვის (და არა ფორმის) ტრანსლიტერაციული ჩანაწერი ინგლისური ენის ნორმების დაცვით:

სახელი და გვარი: Shalva Eristavi Str.

ტოპონიმი: Udzo str., Tibaani Str.

საზოგადო სახელი: Alublebi Str.

ეს არის სახელისა და გვარის, ტოპონიმის, საზოგადო სახელისა და არა სინტაქსური კონსტრუქციის ტრანსლიტერაცია (ნათესაობითი უგულებელყოფილია ინგლისური ენის ნორმის სასარგებლოდ).

ტოპონიმურ დასახელებებში კვეცადი და კუმშვადი სახელები უკუმშველად და უკვეცელადაა წარმოდგენილი ინგლისურად:

Avlabari Str., Avchala Str.

ნაწილობრივი თარგმანი / ნაწილობრივი ტრანსლიტერაცია:

შინდისელი გმირის ჩიხი – Shindiseli Hero Dead End

შინდისელი გმირის ქუჩა – Shindiseli Hero Str.

ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი – Monk Gabriel Salosi Ave.

სრული თარგმანი:

თავისუფლების მოედანი - Freedom Square.

არაერთგვაროვანია, აგრეთვე, გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი საზოგადო სახელების (ე.წ. ტოპონიმის ინდიკატორების) დაწერილობაც და უცხო ენაზე გადმოცემაც.

რეკომენდაციები მუნიციპალური სამისამართო სახელწოდებების ქართული და ინგლისური ვერსიების გადმოსაცემად:

ქუჩების დასახელებისა და სხვა მუნიციპალური ობიექტების სახელწოდებების უცხო ენაზე წარმოდგენისას გათვალისწინებულ იქნეს პრაგმატული ასპექტი და უპირატესობა მიეცეს ტრანსლიტერაციული ჩანაწერის გამოყენებას.

მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში დარჩეს ნათარგმნი ვერსია (თავისუფლების მოედანი, გმირთა მოედანი...).

იმისათვის, რომ არ დაიკარგოს ქალაქის სახელდების კულტურული ასპექტი და უცხოელმა სტუმარმა შეძლოს ტოპონიმიკის, როგორც კულტურული ტექსტისა და განსაკუთრებული სემიოტიკური სისტემის გააზრება, ტრანსლიტერირებულ წარწერათა გვერდით ქუჩის (მოედნის, ხეივანის და სხვ.) ერთ ან რამდენიმე თვალსაჩინო ადგილას მიეთითოს ქუჩის ქართული სახელწოდების თარგმანიც.

გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი საზოგადო სახელების თარგმნისას გამოყენებულ იქნეს დეპარტამენტის მიერ შეთავაზებული უნიფიცირებული სია და შემოკლებები.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ გასწორებული თბილისის ქუჩებისა და სხვა მუნიციპალური ობიექტების ქართულ-ინგლისური სახელწოდებების ბაზა გამოყენებულ იქნეს არსებული სახელწოდებების გასასწორებლად მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხოლო ახალი სახელების დარქმევის დროს სარეკომენდაციო სიად.

მუნიციპალური ტოპონიმიისა და გეოგრაფიული ობიექტების ტრანსლიტერაციისას დაცულ იქნეს ტრანსლიტერაციის სარეკომენდაციო წესები.

დამატებითი რეკომენდაციები:

1) დამატებით გამოიკვეთა პრობლემა იმ დასახელებებში, რომლებშიც გამოყენებულია უცხოური წარმოშობის საკუთარი სახელები. მათი დაწერილობისას უნდა ვისარგებლოთ წარმომავლობის ენის მონაცემით:

ფერდინანდ თავაძის ქ. Ferdinand Tavadze Str. (და არა იმ სახით, როგორც ახლათ: Perdinand Tavadze Str.)

ფილადელფოს კიენაძის ქ. Philadelphos Kiknadze Str. (როგორც არის კიდევ ამჟამად).

2) თუ ქუჩის სახელწოდება შეიცავს სტატუსის ან რელიგიური დღესასწაულის აღმნიშვნელ ერთ სიტყვას, მაგ. მეფე, ბერი, ძმა ... ფერისცვალება... ამ სიტყვის თარგმანი მიეთითოს ფრჩხილებში: არჩილ მეფის ქ. - Mepe (King) Archil Str. ფერისცვალების ქ. - Peristsvaleba (Transfiguration) Str.

შენიშვნა 1: ინგლისურ დასახელებებში ხან იწერებოდა Street, ხან კი მისი შემოკლებული ვარიანტი: Str. ყველგან გამოყენებულ უნდა იქნეს Str.

აქვე დავურთავთ მისამართებში გამოყენებული სხვა გეოგრაფიული ობიექტების ქართულ და ინგლისურ დასახელებათა შემოკლებების სიას.

შენიშვნა 2: შეიცვალა სკვერის ინგლისური შესატყვისი Minipark _ MP (იყო Park _ PK)

გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი საზოგადო სახელების უნიფიცირებული სია შემოკლებებით

ადმინისტრაციული ერთეული - ადმინ. ერთ. //აე - **Administrative Unit - AU**

აღმართი - აღ. - **Ascent - AST**

ბაღი - ბაღი - **Garden - GDN**

ბინა - ბ. - **Apartment - Apt.**

ბულვარი - ბულვ. - **Boulevard - Blvd.**

გამზირი/პროსპექტი - გამზ. - **Avenue, Ave.**

გასასვლელი - გას. - **Path**

გზატკეცილი - გზატკ. - **Highway - HWY**

დაბა - დ. - **Borough - BOR / Boro.**

დასახლება - დასახლ. - **Settlement - Sett.**

დაღმართი - დაღ. - **Descent - DST**

ზონა - ზონა - **Zone - Zone**

კვარტალი - კვ. - **Block - BL**

კორპუსი - კ. - **Building - Bldg.**

კოტეჯი - კტჯ. - **Cottage - Ctge**

მასივი - მას. - **Residential District, R/D**

მთა - Hill (ზოგ შემთხვევაში Mount)

მიკრორაიონი - მკრ. - **Microdistrict, M/D**

მოედანი - **Square - SQ**

მუნიციპალიტეტი - მუნიციპ. - **Municipality - Muni**

ნაკვეთი - ნაკვ. - **Plot - Plot**

პარკი - **Park - PK**

პლატო - პლატო - **Plateau - Plat**

სადარბაზო - სად. - **Entrance - Ent.**

სანაპირო - სანაპ. - **Embankment - Emb.**

სკვერი - **Minipark - MP**

სოფელი - სოფ. - **Village - VLG**

სპორტული მოედანი - **Sports Ground**

უბანი - უბ. - **District - DIST**

ფერდობი - ფერდ. - **Slope - SLP**

ქალაქი. (+დასახლება სახელობით ბრ.-ში) **City - City**

ქუჩა - ქ. - **Street - Str.**

ქუჩის გაგრძელება - ქ. გაგრძელება **Street Extension - Str. Ext** (თიანეთის ქუჩის გაგრძელება)

შენობა - შ./შენ. - **Premise - Prem**

შესასვლელი - შეს. - **Gateway - GTWY**

შესახვევი - შესახვ. - **Lane - LN**

ჩიხი - ჩიხ. - **Dead-End - DE**

ხევი - ხევ. - **Ravine - Rav.**

ხეივანი - **Alley - ALY**

ხიდი - **Bridge - BRG**